



## ცვლილებების ინიციატორთა ფორუმი 2014 წლის 13-14 თებერვალი

### სესიის მიმოხილვა

#### ახალგაზრდული რესურსის გამოვლენა: მობილიზაცია და სოციალური აქტივიზმი

სესიის ხელმძღვანელი: მარიამ ქობალია, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის პროგრამის მენეჯერი

მომხსენებლები:

1. ქეთევან ვაშაკიძე, პრეზიდენტი, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი
2. რატი ბრეგაძე, მინისტრის მოადგილე, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო
3. თორნიკე გურული, დირექტორი, საქართველოს ბანკის მომავლის ფონდი
4. მარიამ დევიძე, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის ახალგაზრდული პროგრამის - „ახალგაზრდული იდეა“- ყოფილი წევრი

სესიაზე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, ბიზნესისა და ხელისუფლების წარმომადგენლებმა განიხილეს ახალგაზრდების, როგორც პოზიტიური ცვლილებების აგენტების პოტენციალი და იმსჯელეს, თუ რა კავშირია ახალგაზრდობაში სათემო აქტიურობასა და ზრდასრულ ასაკში სამოქალაქო ჩართულობას შორის. სესიაზე ყურადღება გამახვილდა მთავრობის, სამოქალაქო სექტორისა და ბიზნესის თანამშრომლობის მნიშვნელობაზე სოციალურ პროცესებში ახალგაზრდების მონაწილეობის წასახალასებლად და გამოიკვეთა შემდეგი სურათი:

- მართალია, საქართველოში ახალგაზრდების სხვადასხვა სოციალური საჭიროებების უზრუნველსაყოფად, სექტორებს შორის თანამშრომლობისა და რესურსების ერთობლივი მობილიზების მაგალითები უკვე არსებობს, მაგრამ მათი რაოდენობა ძალიან მცირეა და ამას გარდა, დიდი წილი მოკლევადიანი თანამშრომლობის შედეგია;
- სექტორებს შორის თანამშრომლობის ინიცირება, არ არის მარტივი, რამდენადაც თითოეულ აქტორს განსხვავებული ინტერესები შეიძლება ჰქონდეს და ამას გარდა, ხშირად, ეს განსხვავებული აქტორები სექტორებს შორის თანამშრომლობის საჭიროებაში არც არიან დარწმუნებული. სწორედ ამიტომ, საჭიროა, მოხდეს თანამშრომლობის წარმატებული მაგალითების პოპულარიზაცია და პრაქტიკული

დისკუსიების სტიმულირება, იმის შესახებ, თუ როგორ უწყობს ხელს შედეგების მაქსიმიზაციას თანამშრომლობა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, ბიზნესსა და ხელისუფლებას და თავად ახალგაზრდებს შორის;

- მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო ბოლო პერიოდში უფრო გახსნილი გახდა და უფრო აქტიურად თანამშრომლობს განსაკუთრებით სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან და, ასევე, ბიზნესებთან, ხშირ შემთხვევაში, ამას ინსტიტუციური თანამშრომლობის ფორმა არ აქვს. აუცილებელია, რომ ლიდერობა სტრატეგიული თანამშრომლობის ხელშესაწყობად სწორედ სახელმწიფომ აიღოს საკუთარ თავზე;
- რამდენადაც არ არსებობს თანამშრომლობის ინსტიტუციური მექანიზმის ერთი უნივერსალური მოდელი და სექტორებს შორის თანამშრომლობა სხვადასხვა ფორმით შეიძლება იყოს გამოხატული, სესიის მონაწილეების მხრიდან დაისვა საკითხი ამ თემაზე სამომავლოდ დიალოგის გაგრძელების საჭიროებაზე, რომელსაც შესაძლოა ჰქონდეს ინტერსექტორალური საკოორდინაციო ჯგუფის სახე, რომელიც იმუშავებს კონკრეტულ მექანიზმებზე სექტორებს შორის თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად;